ბაია აბულაძე

22 წლის ბაია აბულაძეს ვენახი ბაღდათში, სოფელ მეორე ობჩაში, 1.5 ჰექტარზე აქვს გაშენებული. ცოტა ხნის წინ ბაიამ ბრენდი „ბაიას ღვინო“ (Baia's Wine) შექმნა. ახალგაზრდა მეღვინე თეთრ მშრალ ციცქა-ცოლიკოურს ასხამს.

„მეღვინეობა და მევენახეობა ჩვენი ოჯახის ტრადიციაა. ყურძენს მარანში ყოველ წელს ვწურავდით და ღვინოც ადგილზე იყიდებოდა. შემდეგ ღვინის ფესტივალებში მივიღე მონაწილეობა და ჩვენმა ღვინომაც სხვა დატვირთვა შეიძინა. ყველა, ვინც მას სინჯავდა, „ბაიას ღვინის“ სახელით მოიხსენებდა. იმისათვის, რომ ჩვენი ღვინო ფართო საზოგადოებას გაეცნო, ბიძგი გვჭირდებოდა. ეს ბიძგი პროექტმა „აწარმოე საქართველოში“ მომცა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსება მივიღე და ღვინის ჩამოსხმა დავიწყე. ყოველწლიურად დაახლოებით 13 ტონა ცოლიკოური და ციცქა მოგვყავს. ვენახს ჩვენ თვითონ ვუვლით, მთელი ზაფხული ყველა საჭირო პროცედურას ვატარებთ. ოჯახის ყველა წევრს – დედას, მამას, ბებიას, ჩემს ძმას და მე – საქმე განაწილებული გვაქვს“, – უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ბაია აბულაძემ.

მისივე თქმით, „ბაიას ღვინით“ ცნობილი ინგლისური კომპანია დაინტერესდა, რომელიც მის გატანას დიდ ბრიტანეთში გეგმავს.

„ცოტა ხნის წინ, ინგლისში ყოფნის დროს ერთ-ერთ გამოფენაზე ჩვენი ღვინით ცნობილი სადისტრიბუციო კომპანია დაინტერესდა, რომელიც საქართველოში ჩამოსვლას და ღვინის გატანას გეგმავს. აქამდე სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ლიტვაში, ავსტრიაში, შვედეთში პოლონეთსა და სომხეთშია ნამყოფი ჩვენი ღვინო, ახლა გვსურს, რომ ინგლისელ მომხმარებელს გავაცნოთ“, – აღნიშნა ბაია აბულაძემ.

ბაია აბულაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო პოლიტიკის მაგისტრატურაზე სწავლობს.